

LINGUISTICS / GEORGIAN LANGUAGES: CONVERGENT DEVELOPMENT OF  
LANGUAGES AND THE CHAN (LANGUAGE)

ენათა კონვერგენტული განვითარება და ჭანური (ლაზური)

**Vianor Akhalaia**

Doctor of Philological Sciences,  
Professor of Gori State University,  
Gori, Chavchavadze st., No53, 1400, Georgia,  
+995 577 25 12 15, V.Akhalaia@hotmail.com  
<https://orcid.org/0009-0002-3654-5208>

**Abstract.** The similarities observed among languages that are geographically adjacent within a compact territory and share a long-standing historical relationship are largely conditioned by their mutual contacts and interactions. These interactions often result in the acquisition of analogous structural and material features through intensive convergent development. Such influences are evident not only in lexical borrowings but also in phonological, morphological, and syntactic transformations, whereby one language may, in certain respects, resemble another. Features characteristic of a neighboring language may appear within a given language.

A prominent example of linguistic interference and historical mutual influence is the impact of Greek and Turkish on the Chan (Laz) language. The political and cultural influence of Byzantium was particularly significant for the speech of the Laz population residing in the Trabzon and Rize-Atina regions. In contrast, the Vitse-Arkhab-Khop region, due to its close contacts with the Georgian-speaking world, experienced these influences to a lesser degree.

Following the Ottoman conquest of Constantinople in 1453, the political and cultural dynamics of Asia Minor underwent a significant transformation. A portion of the Laz population migrated to continental Greece, where their language gradually became assimilated into Greek. Meanwhile, the majority who remained in their native homeland preserved both their language and cultural integrity, though communication between Laz and Mingrelian became increasingly complex. Previously, the differences between these languages had been minimal, and comprehension posed no challenge. Over time, interactions with the Georgian-speaking world diminished, and the Laz increasingly found themselves within a Turkish-speaking environment.

**Keywords:** Chan, Laz, Turkish, Greek, “qi”, “oti”, “eger”, “shkule/chkule”, Fereydani, Kist-Batsnuri

**ვიანორ ახალაია**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,  
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., No53, 1400, საქართველო,  
+995 577 25 12 15, V.Akhalaia@hotmail.com  
<https://orcid.org/0009-0002-3654-5208>

**აბსტრაქტი.** კომპაქტურ ტერიტორიაზე გეოგრაფიულად მომიჯნავე, ხანგრძლივი და მჭიდრო, ისტორიული ურთიერთობის მქონე ენათა მსგავსება შეპირობებულია მათ შორის არსებული კონტაქტებით, მათი ურთიერთგავლენით, რომელიც ხასიათდება ინტენსიური კონვერგენტული განვითარების შედეგად შექმნილი მსგავსი სტრუქტურული და მატერიალური ნიშნებით. ეს გამოიხატება როგორც სიტყვათა

სესხებაში, ისე ენის ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ ცვლილებებში, რის შედეგად ერთი ენა, გარკვეული თვალსაზრისით, ემსგავსება მეორეს. ენაში ჩნდება მეორე, მეზობელი ენისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ინტერფერენციის, ანუ ენობრივი სისტემის სხვადასხვა დონის ერთეულთა და სტრუქტურათა სესხების და ისტორიული ურთიერთგავლენის ილუსტრირება არის ბერძნულისა და თურქულის გავლენა ჭანურზე (ლაზურზე).

ბიზანტიის პოლიტიკური და კულტურული გავლენა დიდი იყო ჭანურზე (ლაზურზე), განსაკუთრებით ტრაპიზონის და რიზე-ათენის რეგიონში მცხოვრებ ლაზთა მეტყველებაზე. ვიწე-არქაბ-ხოფის რეგიონი, თავისი მჭიდრო კონტაქტის გამო, ქართულენოვან სამყაროსთან ამ გავლენას ნაკლებ განიცდიდა. 1453 წელს თურქ-ოსმალებმა კონსტანტინოპოლი აიღეს, რასაც მოჰყვა გარდატეხა წინა აზიის ხალხთა პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ლაზების ერთი ნაწილი კონტინენტალურ საბერძნეთში გადასახლდა და მათი ენა ბერძნულმა შთანთქა, ლაზების ძირითადმა ნაწილმა კი, რომელიც მშობლიურ მიწა-წყალზე დარჩა, შეინარჩუნა მთლიანობა და ენა, მაგრამ გართულდა კომუნიკაცია ლაზურსა და მეგრულს შორის. ადრე მათ შორის სხვაობა ისე მცირე იყო, რომ გაგებინების პრობლემა არასოდეს არ მდგარა. უკიდურესად შესუსტდა ურთიერთობა ქართულენოვან სამყაროსთან, ლაზები თურქულენოვან გარემოცვაში აღმოჩნდნენ.

**საკვანძო სიტყვები:** ჭანური, ლაზური, თურქული, ბერძნული, „ქი“, „ოტი“, „ეგერ“ „შკულე/ჭკულე“, ფერეიდნული, ქისტურ-ბაცნური.

**შესავალი.** რადგან მე-16 საუკუნიდან ჭანურის (ლაზურის) განვითარება ვერ წარიმართა თავისი ბუნებრივი გზით, იგი ჩამოშორდა თავის მომე ენებს - ქართულს, მეგრულს, სვანურს. ჭანურზე თურქულის გავლენის ნიმუშია ამ ენიდან ნასესხები - ქი(ღ-ჩი) „რომ“-ის მნიშვნელობით მანამდე ბერძნულიდან არის შემოსული -ოტი, რომელიც შეიძლება შეცვლილი იქნეს თურქული - ქი-თ: ჩქუა მუ გინონან ოტი(ღ-ქი) მოგილა (მარი, 1910:212) „სხვა რა გინდა რომ მოგიტანო“. ჭანურში (ლაზურში) გვაქვს თურქული სინტაქსური კალკის მაგალითები. თურქულ-სპარსულიდან არის ნასესხები ეგერ „თუ“, რომელიც დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებასთან იხმარება.

**მეთოდი.** კვლევა ეფუძნება საილუსტრაციო მასალის შეჩვენას, სისტემატიზაციას და ლინგვისტურ ანალიზს, გამოყენებულია აღწერისა და შედარება-შეპირისპირების მეთოდი, სტრუქტურული კვლევა. საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის გააზრების საფუძველზე გამოტანილია სათანადო დასკვნები.

**შედეგები და მსჯელობა.** ჭანურს აქვს თავისებურება, რაც ზმნის პირიან ფორმებზე ბრუნვის ნიშნისა და თანდებულის (ან ნაწილაკის) დართვითაა გამოწვეული. საკითხავია, ეს ქართულის ნიადაგზეა წარმოშობილი, თუ სხვა, რომელიმე ენის გავლენით. ამ კონტექსტში საინტერესოა ს.ჯიქიას შეხედულება, ჭანურის ზემოთ ნახსენები შემთხვევები თურქულის კალკიო (ჯიქია, 1967:369-377). აქ შევჩერდებით მკვლევარის თვალსაზრისზე, ჭანურში დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებების ჩამოყალიბების თაობაზე. იგი წერს: ლაზური კულე ნათესაობითს ითხოვს... თურქულში დროის (გარემოებიანი) დამოკიდებული წინადადების ამ ტიპს ის თავისებურება ახასიათებს, რომ ყოველთვის ზმნის ფუძისაგან dik ფორმისაგან შედგება, ეს ფორმა დაწყებით ბრუნვაშია zonra თანდებულთან დაკავშირებით (ჯიქია, 1967: 371).

თურქულში ზმნის ფორმა დაწყებით ბრუნვაში (თანდებული ითხოვს ამას), ხოლო ჭანურში კი უკულე (ოკულე, ეკულე) ზმნისართები, რომლებიც თანდებულის ფუნქციასაც ითავსებენ, თვით შეიცავენ დაწყებითობის გამომხატველ **ლე** სუფიქსს (გაბუნია, 1993: 65), მაგრამ ჭანურში მსგავსი ისაა, რომ აქ ასეთი ფორმები ზმნის ფუძისაგან არაა ნაწარმოები (იგი პირიანი ფორმებისგანაა), მეტიც, „შკულე“ რიგის მაწარმოებლები ჯერ გაფორმდნენ სახელთან (მართავენ ნათესაობით ბრუნვაში), შემდეგ არიან ზმნის პირიან ფორმებთან გადანაცვლებული.

აქ უპირანია გავიხსენოთ ზანური ენის მეგრული დიალექტის ზემოთ მოყვანილი ვითარება, სადაც **უკულე** დასტურდება ოდენ ცალკე მდგომ თანდებულად (ასევე ზმნისართადაც). ჭიჭე ხანი-ში უკული ხოლო ქიდიმახე შხვაქე (დანელია, 1991: 12) „ცოტა ხნის შემდეგ კვლავ დაიძახა სხვამ“.

მეგრული ხანი-ში უკული „ხნის შემდეგ“ ტიპის წარმოებაზე შეჩერებულა... ჭანურში პროცესი კი, როგორც ვნახეთ, ბოლომდეა მისული. ჭანურში ანალიზური წარმოება სინთეტურითაა შეცვლილი. აქ, რა თქმა უნდა, თურქულს შეეძლო მოეხდინა გავლენა და ამდენად, მის კალკზეც გვესაუბრა.

ანალოგიურ ვითარებაშია ქართულს მოწყვეტილი ფერეიდნული, რომელშიც „განსაკუთრებით ჩანს სპარსულის ზეგავლენა ფრაზების წარმოებაში ხან სპარსული და ქართული სიტყვა ქმნის ფრაზას, ხან ქართული ან არასპარსული სიტყვებია აღებული, მაგრამ ფრაზა სპარსულ ყაიდაზე გამართული: „ვაჭრობა ვქმნათ (=ვივაჭროთ)“ (ჩიქობავა, 1927:218).

ს. ჯიქიას შეხედულება თურქულში დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებების შესახებ, კორექტივს მოითხოვს, რადგან, მისივე განცხადებით, თურქულ ენას... ჰიპოტაქსური კონსტრუქცია არ ახასიათებს და, ამდენად, მაკავშირებელი სიტყვები „რომ“, „რომელიც“, „რადგანაც“, „ვინაიდან“ და მისთანანი თურქულს არ გააჩნია (გვიანდელი ნასესხობანი ენის ბუნებას ამ შემთხვევაში ვერ განსაზღვრავს). ამ ვითარების ერთგვარი კომპენსაციაა ის გარემოება, რომ თურქულს მოეპოვება მნიშვნელოვანი რაოდენობით გრამატიკული კატეგორიები (აბსოლუტური, მიმდებარე, ე.წ. dik და acak ფორმები), რომლებსაც მაკავშირებელი სიტყვების გარეშე შეუძლიათ გამოხატონ ჰიპოტაქსურ წინადადებათა შინაარსისა (ჯიქია, 1967: 369-370).

ის, რაც თურქული ენის მიმართ აქ ითქვა, საზოგადოდაა დამახასიათებელი ისეთი ენებისათვის, რომლითაც ჰიპოტაქსური კონსტრუქციები არ განვითარებიათ. მაგალითად, დაღესტნურ და ნახუნურ ენათათვის. ნახუნურ ენათა სინამდვილეშიც ასეა, ოღონდ ბაცბური და პანკისის ქისტური ქართული ენობრივი კოლექტივის გარემოცვაშია მოთავსებული. სახელმწიფოებრივ დაწესებულებებსა და სკოლებში ქართული ენაა გამოყენებული. ამიტომ აღნიშნული მეტყველება განიცდის როგორც ქართული ენის დიალექტების, ისე სალიტერატურო ქართულის დიდ გავლენას. ჰიპოტაქტის ჩამოყალიბება ბაცბურისა და პანკისის ქისტურში ქართული ენის გავლენით უნდა აიხსნას.

ეს გასაგებია, ბაცბურისა და პანკისის ქისტურისათვის ჰიპოტაქსური კონსტრუქცია არ იყო ნიშანდობლივი როგორც ნახუნურ ენათა წევრთათვის, მაგრამ დაიწყო იმდენად, რამდენადაც ქართული ენის გავლენის ქვეშ მოექცა. მაშასადამე, ჭანურში თურქულის „დროის დამოკიდებული წინადადებების ბადალი კონსტრუქცია ვერ მოგვცემს რთული ქვეწყობილის სახეს, რადგან თურქულისათვის ჰიპოტაქსი საერთოდ უცხოა.

ამდენად, -შკულე (-ჭკულე, -შქულე) ფორმანტიანი კონსტრუქციების ადგილი მარტივ წინადადებაშია, მაგალითად, წინადადება **ხომბაშკულე** დომჯახარე, „როცა გაშრება, დავბეგავ“, კი არაა, არამედ „გაშრობის შემდეგ დავბეგავ“ გახლავთ და **ხომბაშკულე** სინტაქსის თვალსაზრისით დროის გარემოებაა.

ამის დამადასტურებელია -შკულე (-ჭკულე, -შქულე) სხვა მეტყველების ნაწილებთან, სადაც ასეთი ფორმა დროის გარემოებაა.

**ჭუმანი-შკულე** ონდლეი ან „დილის შემდეგ შუადღე არის“.

**არ საათი-შკულე** დოთანუ „ერთი საათის შემდეგ გათენდა“.

ყველა შემთხვევაში -შკულე (-ჭკულე, -შქულე) ფორმანტიანი ფორმები სინტაქსურად მარტივი წინადადების წევრებია - დროის გარემოებაა.

„დილის შემდეგ“, „ერთი საათის შემდეგ“ ჩვეულებრივი კონსტრუქციაა ქართულსა და ზანურში. ქართულში ანალიზური წარმოებაა, ზანურის მეგრულ დიალექტშიც ასეა, მხოლოდ ჭანურია, სადაც ანალიზური წარმოების გვერდით განვითარდა სინთეტური წარმოებად და, რაც მთავარია, ის ზმნის პიროვან ფორმებს განუვითარდათ. ჩანს, აქაა გარკვეული გავლენა თურქულისა. თუმცა, არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ჭანურში, ერთი მხრივ ტენდენციაა რთული ფორმის (მაგ., სუმდლა-ში უკულე „სამი დღის შემდეგ“) გამარტივებისა და, მეორე მხრივ, ტენდენცია უნიფორმაციისკენ (ზმნის პირიანი ფორმა ისევე იქცევა, როგორც სხვა მეტყველების ნაწილები - ფუნქციურად არსებითი სახელია).

ამიტომაც, როცა უნიფორმაციის ტენდენციაზე ვსაუბრობთ, უპირველესად მხედველობაში გვაქვს იმ ენობრივი პოტენციის არსებობაზე ჭანურში, რის რეალიზაციას ხელი შეუწყო, ჩანს, თურქულმა, რომელიც აქ უფრო ენობრივი კატალიზატორის როლში მოგვევლინა: თურქული ენის სტრუქტურამ (რაზედაც ს. ჯიქია მსჯელობს), შესაძლებელია დააჩქარა ჭანურში ასეთი ცვლილებანი. ჩანს, დიალექტში ამ თვალსაზრისით „ცარიელი უჯრა“ არსებობდა, რომლის შევსების ცდაცაა ჭანურში - **შკულე (-ჭკულე, -შქულე)** ფორმანტიან ზმნურ კონსტრუქციათა ვითარება, რომლებიც ფაქტიურად მარტივი წინადადების დროის გარემოებანია.

ნ. მარი თავისივე „ჭანური (ლაზური) ენის გრამატიკაზე“ თანდართულ „ჭანურ-რუსულ ლექსიკონში“ მიუთითებს, რომ **-ოტი** (ბერძნ. ὄτι) „რომ“ (კავშირი) იმავე ხ. (ხოფურში - ვ.ა.) შეიძლება შევცვალოთ თურქ. **-ქი**-თ (Mapp, 1910: 177), სხვაგან კი სხვა მასალასთან დაკავშირებით **-ოტი**-ს პარალელურად **-ქი**-ს ხმარებას აღნიშნავს (Mapp, 1910: 212).

ჩქუა მუ გინონან ოტი (||-ქი) მოგიდა „რა გინდა კიდევ, მე რომ მოგიტანო?“

ი. ყიფშიძე თავის „ჩხალური თქმის შესახებ“ თანდართულ „ჭანურ-რუსულ ლექსიკონში“ **-ოტი**-ს შესახებ მიუთითებს: „**-ოტი** ჩხ. (კავშირი) „თუ“ (ყიფშიძე, 1994: 29). იქვეა სათანადო საილუსტრაციო მასალა:

ჰამ ქოი დიდი რენ **-ოტი** ჭუტა“ „ეს სოფელი დიდია თუ პატარა?“

არნ ჩიქობავა ამ ნასესხები აფიქსების შესახებ წერს: „ჭანურს ამ მნიშვნელობით („რომელიც“ კავშირის ადგილას როცა „რომ“ იკავებს - ვ.ა.) გამოყენებული აქვს თურქულიდან ნასესხები **-ქი** (||-ჩი - ათინ.) და ბერძნულიდან გადმოღებული **-ოტი**“ (ჩიქობავა, 1936: 184).

ამ აფიქსთაგან **-ოტი** გამოიყენება ათინურში:

ლაზუტი?.. ლობერი დოღობარ, ოტი ფუჯი მო ამიტაჲ! (ჩიქობავა, 2008: 349) „სიმინდი“... ლობეს შემოავლებ (ზედმ. „ლობე დაღობავ“), რომ „ძროხა არ შემოვიდეს!“

**-ოტი**-ს გამოყენება თუ ათინური კილოკავით შემოიფარგლა, სამაგიეროდ **-ქი** (||-ჩი)-ს გამოყენება ასე შემოზღუდული არა ჩანს. მაგალითად:

ხოფური (სარფული)

„...ემუქ მა მუჭო მიწუ-ქი, დომორჩილია!“ (კარტოზია, 1993: 22) „იმან მე როგორ მითხრა, რომ დამაქორწილეო!“

ონდლეი იყვეტუ-ქი ფათიშაის ოხოს ქონოდგითუ (კარტოზია, 1993: 27) „შუადღე იქნებოდა, რომ ხელმწიფის კარს (ზედმ. „სახლს“) მიადგა“.

ვიწურ-არქაბული

ხოჯაქ-თი თქუ-ქი „ჰაკო ქოთუმეს არ მამული უკორემს (ჩიქობავა, 1936: 14), ხოჯამაც თქვა, რომ „ამდენ ქათამს ერთი მამალი სჭირდება“.

მუფერ ქომოლი რენი-ქი, ხორჯაქ დელი წოფხუმს (ჩიქობავა, 1936: 41), „რა ქმარია, რომ ცოლი აგიყვებს“.

ათინური

ათინურში -ქი-ც გვხვდება და მისგან მიღებული -ჩი-ც, უფრო მეტად ეს უკანასკნელი ჩანს:

არ კოჩი ოხორჯა-მუში უწუ-ქი: კოჩი დოპილი (კარტოზია, 1993: 179), „ერთმა კაცმა (ზედმ. „ერთი კაცი“) თავის ცოლს (ზედმ. „ცოლი თავისი“) უთხრა, რომ „კაცი მოვკალი“ -ქი-ს ნაცვლად ხშირია -ჩი (ქი>ჩი ქ-ს პალატალიზაციის შედეგია).

ხოლოთი ალი უზდუ-ჩი, წიწილა იჭვეტუ (კარტოზია, 1993: 194), „რომ მოუკიდა, შიგნით გველი იწვოდა“.

საყურადღებოა ის, რომ ერთსა და იმავე მთქმელთან ათინურ კილოკავში -ქი||-ჩი თანაარსებობენ.

ის ფაქტი, რომ ერთი და იმავე მთქმელის მეტყველებაში -ქი და -ჩი ერთმანეთს ენაცვლება (ზოგჯერ ერთსა და იმავე ფორმებთან), გვაპარაუდებინებს, რომ პროცესი -ქი>ჩი ჭანურში ბოლომდე არაა მისული და ცვლილებაც სპონტანური ხასიათისაა.

თურქულენოვანი სამყაროდან შემოსული -ქი „რომ“, „თუ“-ს მნიშვნელობით დღესაც ცოცხალია, მაგალითად, ზოგ დაღესტნურ ენაში სწორედ ამოსავალი -ქი ფორმით: რუთულურში, უდიურში, თაბასარანულში და ხანაურში „რომ“-ის ფუნქციით.

**დასკვნა.** როგორც ტექსტებიდან ჩანს, -ქი(>ჩი), -ოტი კავშირებს შეუძლია გამოხატონ ქვემდებარული, პირდაპირ დამატებითი, განსაზღვრებითი, შემასმენლური, დროის გარემოებითი, ვითარების, მიზეზისა და მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებანი.

არნ. ჩიქობავა -ოტი, -ქი||-ჩი აფიქსების ერთ-ერთ ფუნქციაზე, გამოხატოს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, საგანგებოდ მიუთითებდა, რომ ჭანურისათვის უჩვეულოა განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, ეს სავსებით გასაგებია: „რომელიც“ სიტყვით დაკავშირებული დამოკიდებული წინადადება ქართულშიაც წიგნური წარმოშობისაა და ხალხურ მეტყველებას არ ახასიათებს (ჩიქობავა, 1936: 184) და ამ მნიშვნელობით იყენებენ ზემოთ ჩამოთვლილ აფიქსებსო, მართლაც:

- ოტი... „რომ“ კავშირის ფუნქციით განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში:

- თქუან მუ გინონან, ოტი მოგიდა? „თქვენ რა გნებავთ (ისეთი) (მე) რომ მოგიტანო?“

ხომ არ შემოსულან ეს კავშირები (-ოტი, -ქი||-ჩი) ჭანურში უპირველესად განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებათა გასაფორმებლად, ხოლო შემდეგ შეიძინეს სხვა დამოკიდებულ წინადადებათა აგების უნარი.

რაც შეეხება ეგერ „თუ“ თურქულ-სპარსულიდან ნასესხებ კავშირს, იგი დროის დამოკიდებულ წინადადებაებთან დავადასტურეთ.

### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

გაბუნია, ვ. (1993). *ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში*. თბილისი.

დანელია, ვ. (1991). *შესავალი წიგნში: ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები*. II. თბილისი.

კარტოზია, გ. (1993). *ლაზური ტექსტები*. II. თბილისი.

- ყიფშიძე, ი. (1994). Дополнительные сведения о чанском языке. წიგნში: ი. ყიფშიძე, *რჩეული თხზულებანი*. თბილისი.
- ჩიქობავა, არნ. (1927). ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი. *თსუ-ს მოამბე*. ტ. 7. თბილისი.
- ჩიქობავა, არნ. (1936). *ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ*. თბილისი.
- ჩიქობავა, არნ. (2008). *შრომები*. III. თბილისი.
- ჯიქია, ს. (1967). თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან. 2. თურქული სინტაქსური კალკები ლაზურში. წიგნში: *ორიონი, აკაკი შანიძეს*. თბილისი.
- Март, Н. Я. (1910). *Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем*. С.ПВ.

## REFERENCES

- gabunia, k'. (1993). *zmnisartis ts'armoeba da punktisiebi kartvelur enebshi [Adverb Formation and Functions in Kartvelian Languages]*. Tbilisi.
- danelia, k'. (1991). *shesavali ts'ignshi: kartuli khalkhuri sit'qviereba, megruli t'ekst'ebi [Introduction to the book: Georgian Folk Literature: Mingrelian Texts]*. II. Tbilisi.
- k'art'ozia, g. (1993). *lazuri t'ekst'ebi [Laz Texts]*. II. Tbilisi.
- qipshidze, i. (1994). Dopalnitel'nye svedeniya o chanskomazyke [Additional Information on the Chan Language]. In i. qipshidze, *rcheuli tkhzulebani [Selected Works]*. Tbilisi.
- chikobava, arn. (1927). pereidnulis mtavari taviseburebani [Main Characteristics of the Fereydani Dialect]. *tsu-s moambe [Bulletin of Tbilisi State University]*. Vol. 7. Tbilisi.
- chikobava, arn. (1936). *ch'anuris gramat'ik'uli analizi t'ekst'ebiturt [Grammatical Analysis of Chan (Laz) with Texts]*. Tbilisi.
- chikobava, arn. (2008). *shromebi [Works]*. III. Tbilisi.
- jikia, s. (1967). turkul-lazuri enobrivi urtiertobidan. 2. turkuli sint'aksuri k'alk'ebi lazurshi [From Turkish-Laz Linguistic Relations: 2. Turkish Syntactic Calques in Laz]. In *orioni, ak'ak'i shanidzes [Orioni (dedicated to Akaki Shanidze)]*. Tbilisi.
- Marr, N. Ja. (1910). *Grammatika chanskogo (lazskogo) jazyka s hrestomatieju i slovarem [Grammar of the Chan (Laz) Language with Chrestomathy and Dictionary]*. St. Petersburg.